„ვამტკიცებ“
თბილისის ჭადრაკის ფედერაციის
პრეზიდენტი ზურაბ მიქაძე

“----------” ---------- 2023 წ.

ქ. თბილისის ღია ჩემპიონატი

10 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის

(28.01-04.02. 2023 წ. ქ. თბილისი, ჭადრაკის სასახლე)

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. **სისტემა:** ტურნირი ტარდება ფიდეს წესებით, შვეიცარული სისტემით 7 ტურად. აუცილებლობის შემთხვევაში ტურნირის ჩატარების სისტემას განსაზღვრავს ორგანიზატორი.
2. **დროის კონტროლი:** თითოეულ მონაწილეს მიეცემა 45 წუთი მთელ პარტიაზე, ყოველ სვლაზე 5 წამის დამატებით.
3. **კვალიფიკაცია:** ტურნირში ფიდეს რეიტინგი დაითვლება სწრაფ ჭადრაკში.
4. **მონაწილენი:** ტურნირში დაიშვებიან საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრი ჭაბუკები და გოგონები, დაბადებული 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ.
   სამივლინებო ხარჯებს გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.
5. **რეგისტრაცია და სატურნირო შესატანი:** მონაწილეებმა რეგისტრაციისას უნდა შეავსონ სარეგისტრაციო ფორმა https://forms.gle/UH8dDsZCq95xKMLA6
   ამავე ფორმაში უნდა ატვირთონ: 1) დაბადების მოწმობის ასლი; 2) თბილისის ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე სატურნირო შესატანის გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი. 3) თბილისის ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე ფედერაციის წლიური საწევრო შესატანის (24 ლარი) გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი.
   რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2023 წლის 28 იანვრის 18:00 სათი.
   ნატა ალავიძე: ელ-ფოსტა - n.alavidze64@gmail.com მობ: 558 11 86 83
   თბილისის ჭადრაკის ფედერაციის საბანკო რეკვიზიტები:
   სს „ლიბერთი ბანკი“,საბანკო კოდი - LBRTGE22
   ანგარიშის ნომერი: GE85LB0115171850203000
   სატურნირო შესატანი: 20 ლარი (უნაღდო ანგარიშსწორებით).სოციალურად დაუცველები და მრავალშვილიანები განთავისუფლებულნი არიან სატურნირო შესატანიდან.
6. **თაი- ბრეიქი:** ორი ან რამოდენიმე მონაწილის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:
   1. ურთიერთშორის შეხვედრა;
   2. ბუჰგოლცი-1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
   3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
   4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობა;
   5. მოგებების მეტი რაოდენობით.

7. ტურნირის განრიგი:

ტური	დღე	საათი
რეგისტრაცია	28 იანვარი	
გახსნა	29 იანვარი	15:00
I ტური	29 იანვარი	15:00
II ტური	30 იანვარი	15:00
III ტური	31 იანვარი	15:00
IVტური	1 თებერვალი	15:00
Vტური	2 თებერვალი	15:00
VI ტური	3 თებერვალი	15:00
VII ტური და დახურვა	4 თებერვალი	15:00

8. დაჯილდოება:

8.1. 1 ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან თასებით, მედლებით და დიპლომებით.

2-3 ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან მედლებით და დიპლომებით.

8.2. 1-3 ადგილზე გასული ჭაბუკები და გოგონები დაიშვებიან 2023 წლის საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 10 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის (მხოლოდ თბილისელი მოჭადრაკეები).

ასევე დამატებითი ადგილები მიეცემათ მონაწილეთა რაოდენობის შესაბამისად:

5-14 მონაწილეზე 1 ადგილი; 15-24 მონაწილეზე 2 ადგილი; 25-34 მონაწილეზე 3 ადგილი;

35-44 მონაწილეზე 4 ადგილი და ა.შ. (მხოლოდ თბილისელი მოჭადრაკეები).

- ტურის დაწყებიდან 30 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება.

ტურნირის დირექტორი: თბილისის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი,
საერთაშორისო ორგანიზატორი - ზურაბ მიქაძე

მთავარი მსაჯი: საერთაშორისო არბიტრი - მარგალიტა თანდაშვილი.